

ქართველი გოგონების (ახალგაზრდა ქალების) გზა „ოპერობიდან“  
გერმანიაში მუდმივ მიგრაციამდე

სოფიკო გიგაური

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე, სოციოლოგიის მაგისტრის აკადემიური  
ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

სამაგისტრო პროგრამა: სოციოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მარიამ დარჩიაშვილი, ასისტენტ-პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის - *ქართველი გოგონების (ახალგაზრდა ქალების) გზა „ოპერობიდან“ გერმანიაში მუდმივ მიგრაციამდე* - ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული და ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სოფიკო გიგაური

25.06.2019

## აბსტრაქტი

ჩემი ნაშრომი შეეხება შრომითი მიგრაციის ერთ-ერთ სახეს\_ Au-pair-ს, რომელიც საკმაოდ პოპულარული გაცვლითი პროგრამაა და ბევრი ქართველი ახალგაზრდაა ამით დაინტერესებული. მიზეზი კი არის ის, რომ ამ პროგრამით სასურველ ქვეყანაში წასვლა ბევრად მარტივი და დაბალბიუჯეტურია, ვიდრე ალტერნატიული გზებით.

ნაშრომში განვიხილავ შრომითი მიგრაციის გარშემო არსებულ ლიტერატურას და თეორიებს, მიგრაციის ტალღებს და მის გამომწვევ სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებს. წარმოვაჩენ მოსახლეობის მასობრივი გადინების დადებით და უარყოფით მხარეებს.

ნაშრომის მეორე და მესამე თავები ეთმობა Au-pair პროგრამას. დეტალურად განვიხილავ მის სამართლებრივ ნორმებს, რომელიც ევროსაბჭომ მიიღო კანონის სახით გასულ საუკუნეში. ყურადღების გარეშე არ ვტოვებ ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორცაა Au-pair დასაქმებულის უფლებები და დაცულობა. აქცენტებს ვაკეთებუშუალოდ იმ მოთხოვნებზე და კრიტერიუმებზე, რაც აქვთ მასპინძელ ოჯახებს სხვადასხვა ქვენებში და ამის დასაბუთებად მოგვყავს ცხრილები მილოსლავ ბანას სოციოლოგიური კვლევიდან Au-pair თემაზე.

ნაშრომის ძირითადი ნაწილი ეთმობა საკუთარი სამწლიანი გამოცდილების ფონზე ჩატარებულ ემპირიულ კვლევას, რომელსაც სიღრმისული სახე აქვს და დატვირთულია ინფორმაციულად. ჩემი გამოცდილების და კვლევის საფუძველზე გავეცანი იმ მიზეზებს, რის გამოც გადაწყვიტეს ქართველმა გოგონებმა აღნიშნული პროგრამით სარგებლობა, დავინახე მათი თვალით აღქმული რეალობა, რომელიც დახვდათ უცხო ქვეყანაში და ასევე ის ფაქტორები, რომლებმაც განაპირობეს მათი გერმანიაში დარჩენა.

**სამიუბო სიტყვები:** Au-pair პროგრამა, ახალგაზრდა გოგონები, შრომითი მიგრაცია, მასპინძელი ოჯახი, ევროპული განათლება.

## Abstract

My work is about “Au-pair” program, which is one of the varieties of the Labor Migration and also is very popular exchange program, which attracts the interest of many Georgian students. The main reason why they are interested is the vulnerability of the program, which means that, compared to other alternative ways it is much easier and cheaper to go in your desirable country.

In this work, I discuss the literature and theories about the Labor Migration and social-economic factors which causes the waves of the migration. You will read what are the advantages and disadvantages of the huge migration movements and the assimilation in different countries.

The second and the third chapter of the work is about “Au-pair” program. I discuss it’s canon of law, which has been canonized by The Council of Europe in the previous century. I pay attention on subjects like: Security and the rights of the “Au-pair” employees. I underline all the conditions and the requirements from the host families in the different countries and in order to prove the authenticity of my theories I use the grids from Miloslav Bana’s sociological research about “Au-pair”.

The main, third chapter of the work is about a empirical research, which is based on the deep interviews and my three years long researches. Based on my experience and researches I figured out why Georgian girls have decided to use that particular program and I got sophisticated what were the factors which have determined their stay in Germany. The last chapter is all about the conclusion.

**Search:** “Au-pair” program, Young Girls, Labor Migration, The host family, European Education.

## მადლობა

გაწეული შრომისა და დახმარებისათვის მინდა დამსახურებული მადლობა გადავუხადო, ჩემ სამეცნერო ხელმძღვანელს ასისტენტ-პროფესორს მარიამ დარჩიაშვილს, რომელთან ურთიერთობაც იყო ძალიან საინტერესო და მრავლისმომცველი. მისი პროფესიონალიზმით სავსე რჩევების დახმარებით შევძელი სამაგისტრო ნაშრომი ჩამომეყალიბებინა საბოლოო სახით.

ასევე დიდ მადლობას ვუხდით ახალგაზრდა ქართველ ემიგრანტ გოგონებს, რომლებმაც გადატვირთული დღის წესრიგის მიუხედავად გამონახეს დრო და მონაწილეობა მიიღეს ჩემ მიერ ჩატარებულ სოციოლოგიურ კვლევაში, მათი გულწრფელი ინტერვიუები ძალიან მნიშვნელოვანი იყო ნაშრომის ანალიტიკური ნაწილისათვის.